წინასწარ გადახდილი ზარალი**		-	1,411
გაცემულისესხები(არაუზრუნველყოფილი)*		-	133
საპროცენტო შემოსავალი		19	115
შპს „ჯეოჰოსპიტალსი“	შვილობილი კომპანია		
ანაზღაურებული ზარალი		216	285
საპროცენტო შემოსავალი		7	-
ფორვარდული ხელშეკრულება***		205	206
GPIH B.V.	წილის მფლობელი კომპანია		
დივიდენდის განაწილება		4,644	-
შპს „სოფტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“	წილის მფლობელი კომპანია		
დივიდენდის განაწილება		516	-

დასახელება	კავშირი	ტრანზაქციები	ნაშთი
		2017	31.12.2017
		ლარი'000	ლარი'000
ვენის სადაზღვევო ჯგუფი (VIG)	დამფუძნებელი		
გადაზღვევის პრემია		273	125
გადამზღვეველის წილი პრემიის მთლიან თანხაში და ანაზღაურებულ ზარალში		313	-
„ირაო“	იგივე დამფუძნებლის შვილობილი		
მოზიდული პოლისები		63	86
ანაზღაურებული ზარალი		3,596	-
ფორვარდული კონტრაქტი ***		75	517
გადამზღვეველის წილი პრემიის მთლიან თანხაში		-	197
იჯარის ხარჯი		310	-
VIG Rezajišťovna, a.s.	იგივე დამფუძნებლის შვილობილი		
გადაზღვევის წილი პრემიის მთლიან თანხაში		3,617	-
გადამზღვეველის წილი პრემიის მთლიან თანხაში და ანაზღაურებულ ზარალში		4,403	-
გადაზღვევიდან წარმოქმნილი ვალდებულება		-	3,170

* დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულისესხები ნომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთია 10-12%.

** წინასწარ გადახდილი ზარალების მოსალოდნელი გაქვითვა მოხდება საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. მათზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

*** საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიასთან სს “ირაოსთან” და შპს „ჯეოჰოსპიტალთან“ გაფორმებული ფორვარდული კონტრაქტებით ჰეჯირებულია კომპანიის ევროს ღია სავალუტო პოზიცია შესაბამისად 2,000 ათასი ევროს და 3,000 ათასი აშშ დოლარის და 1,000 ათასი ევროს ოდენობით. კონტრაქტების დასრულების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბერი (იხ. შენიშვნა 22(E)c). ანგარიშგების თარიღის ბოლოს არსებული ნაშთები წარმოადგენს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გადაუხდელობას.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სესხებთან დაკავშირებული ვალდებულებები მისი შვილობილი კომპანიის - შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ წინაშე (იხ. შენიშვნა 24 (C)).

შენიშვნა 24. მენეჯმენტის ანაზღაურება

„კომპანიის“ 5 დირექტორის ანაზღაურება 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	2016	2015
	ლარი'000	ლარი'000
ხელფასები	832	887
ბონუსები	592	542
სხვა სარგებელი	248	5
სულ მენეჯმენტის ანაზღაურება	1,672	1,434

შენიშვნა 24. პირობითივალდებულებები

ა. სასამართლო დავები

საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში „კომპანია“ მონაწილეობს სასამართლო დავებში, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ზარალებს და სუბროგაციულ მოთხოვნებს. ანგარიშგების თარიღისთვის არ მიმდინარეობს რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო დავა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ბ. საგადასახადო პირობითივალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ „კომპანიას“ დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გ. სესხებთან დაკავშირებული ვალდებულება

2015 წლის 20 დეკემბრისთვის „კომპანია“, დაკავშირებულ მხარეებთან ერთად, გახდა ახალი სასესხო შეთანხმების მონაწილე, რომლის თანახმადაც „კომპანია“ იძლევა გარანტიას, რომ 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დაფარავს სესხს საბალანსო ღირებულებით 15 998 ათასი ევრო, (31 დეკემბერი 2016 წ. 15,998 ათასი ევრო) იმ შემთხვევაში თუ შპს „ჯეოჰოსპიტალის“ ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. თავდებობა კომპანიის მიერ გაცემულია უსასყიდლოდ. შპს „ჯეოჰოსპიტალის“ სესხის დასრულების ვადა არის 2025 წლის 31 დეკემბერი.

არსებული სასესხო ვალდებულება აღირიცხება იმ მაქსიმალურ ზარალის ოდენობით, რომელიც აღიარებული იქნება ანგარიშგების თარიღისთვის თუ მხარეები საერთოდ ვერ შეასრულებენ კონტრაქტის პირობებს.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის არცერთი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა და, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მხარეებს შორის შეთანხმებული საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია. შესაბამისად, ანარიცხების აღიარებას ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 25. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების საფუძველზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ა. ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

„კომპანიის“ კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები არიან შვილობილი კომპანიები. კონტროლში იგულისხმება „კომპანიის“ მიერ ამა თუ იმ ორგანიზაციაში ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკების მართვის უფლების (პირდაპირი ან ირიბი) განხორციელება, იმ მიზნით რომ „კომპანიამ“ მიიღოს სარგებელი ამ საქმიანობიდან. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღრიცხულია თვითღირებულებით იმ თარიღიდან როდესაც გავრცელდა კონტროლი, მის დასრულებამდე.

მეკავშირე საწარმოები არიან ორგანიზაციები, რომლის ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე ვრცელდება „კომპანიის“ მნიშვნელოვანი გავლენა (და არა კონტროლი). მნიშვნელოვანი გავლენა წარმოიშობა მაშინ როდესაც „კომპანია“ მეორე ორგანიზაციაში ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება, როგორც თვითღირებულებას მინუს გაუფასურების ზარალი.

ბ. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის განმავლობაში მოქმედი საპროცენტო განაკვეთებით და გადახდებით დაკორექტირებული პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით კონვერტირებული უცხოური ვალუტის ამორტიზირებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდებიან ისტორიული ღირებულებით, გადაყვანილია ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

კურსთაშორისი სხვაობები აღიარებულია როგორც მოგება ან ზარალი.

გ. სადაზღვევო კონტრაქტები

(i) კონტრაქტების კლასიფიცირება

კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც „კომპანია“ იღებს სადაზღვევო რისკს სხვა მხარისგან („დაზღვეული“), იმის შესახებ, რომ ის აუნაზღაურებს მას ან სხვა მოსარგებლეს ზარალს განსაზღვრულ გაურკვეველ სამომავლო შემთხვევებში („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც ნეგატიურად მოქმედებს დაზღვეულზე ან სხვა მოსარგებლეზე კლასიფიცირდებიან, როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

სადაზღვევო რისკი განსხვავდება ფინანსური რისკისგან.

ფინანსური რისკი ეხება ერთი ან მეტი კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის და სასაქონლო ღირებულების, სავალუტო კურსების, ფასების და განაკვეთების ინდექსების, საკრედიტო რეიტინგის და ინდექსების ან სხვა ცვლადების მომავალში შესაძლო ცვლილებებს, სადაც არაფინანსური ცვლადი არ არის განსაზღვრული კონტრაქტის მხარისათვის. სადაზღვევო კონტრაქტი შეიძლება ატარებდეს გარკვეულ ფინანსურ რისკს.

სადაზღვევო რისკი კლასიფიცირდება მნიშვნელოვნად მხოლოდ მაშინ, როდესაც სადაზღვევო შემთხვევამ „კომპანიისთვის“ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება. კონტრაქტი სადაზღვევოდ კლასიფიცირდება სანამ ყველა უფლება და მოვალეობა არ იქნება ამოწურული ან ვადაგასული. ისეთი კონტრაქტები, რომლის საფუძველზეც ხდება უმნიშვნელო სადაზღვევო რისკების კომპანიისთვის გადაცემა, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური გარანტიების კონტრაქტები მიღებულია როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

(ii) კონტრაქტების აღიარება და შეფასება

სადაზღვევო პრემიები

ბრუტო მოზიდული პრემია მოიცავს წლის განმავლობაში შეყვანილ პრემიებს, იმის მიუხედავად მთლიანად უკავშირდება ის ხსენებულ საანგარიშო პერიოდს თუ ნაწილობრივ. პრემიები ნაჩვენებია შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოების ჩათვლით. მოზიდული პრემიის გამომუშავებული ნაწილი აღიარებულია შემოსავლის სახით. პრემიები გამომუშავდება პოლისის ძალაში შესვლიდან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად (პროპორციული მეთოდით). გადაზღვევის პრემია აღიარებულია ხარჯად ასევე ყოველდღიურად (პროპორციული მეთოდით). გადაზღვევის პრემიის ის ნაწილი რომელიც არ არის აღიარებული ხარჯად, მიჩნეულია გადაზღვევის აქტივად.

პოლისების გაუქმება

პოლისები უქმდება მაშინ როცა არის ობიექტური დაშვება იმისა რომ დაზღვეული/დამზღვევი აღარ ან ვეღარ იხდის სადაზღვევო პრემიას. შესაბამისად გაუქმება ძირითადად მოქმედებს ისეთ პოლისებზე სადაც პირობების მიხედვით პრემია გადაიხდება განვადებით.

გამომუშავებული პრემიის რეზერვი

გამომუშავებული პრემიის რეზერვი მოიცავს ბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო ან შემდეგი წლების განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალ-ცალკე ყოველი სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად პროპორციული მეთოდით.

სადაზღვევო ზარალები

წმინდა დამდგარი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ ზარალებს, სუბროგაციული ხარჯების გამოკლებით და ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის მოძრაობის გათვალისწინებით. ასანაზღაურებელი ზარალები მოიცავს მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების „კომპანიის“ მიერ დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების რეზერვების გამოთვლებს საანგარიშგებო პერიოდის უკანასკნელი დღისთვის, როგორც გაცხადებულის ასევე განუცხადებელი.

ასანაზღაურებელი ზარალები ფასდება ზარალის ინდივიდუალური განხილვის და მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვების გათვლებით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე განჭვრეტადი მოვლენები, ისეთი როგორიც არის სამართლებრივი ცვლილებები და წარსული გამოცდილებები და ტენდენციები. ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის დისკონტირება არ ხდება.

დაგეგმილი გადაზღვევის მისაღები თანხები აღიარებულია როგორც აქტივი. გადაზღვევის ანაზღაურების თანხა დგინდება იგივენაირად როგორც ასანაზღაურებელი ზარალები.

წინა წელს დარეზერვებული ზარალების ოდენობების კორექტირებები აისახება ინდივიდუალურფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როცა გაკეთდა კორექტირება, ხოლო მატერიალურობის შემთხვევაში ცალკე განიმარტებიან. გამოყენებული მეთოდების და გათვლების გადახედვა რეგულარულად ხდება.

(iii) გადაზღვევა

„კომპანია“ ახორციელებს გადაზღვევას ჩვეულებრივი საქმიანობის განხორციელების პირობებში, შენარჩუნებული რისკის ლიმიტები კი განსხვავდება სადაზღვევო პროდუქტების მიმართულებების მიხედვით. გამაზღვევლის წილი სადაზღვევოვალდებულებებსადასანაზღაურებელზარალებშიწარმოდგენილიაგანცალკევებულად „კომპანიის“ ბალანსში, საკრედიტოდანაკარგებისკორექტირებებისგამოკლებით, მენეჯმენტისშეფასებებისმიხედვით.

გამაზღვევლისვალდებულება „კომპანიის“ მიმართამ უკანასკნელს არათავისუფლებსვალდებულებებისგანდაზღვეულთაწინაშე.

გამაზღვევლის წილი პრემიები და ანაზღაურებები წარმოდგენილია მოგება-ზარალის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში (ბრუტო საფუძველზე).

(iv) გადავადებული აკვიზიციური ხარჯი(DAC)

ფინანსური პერიოდის განმავლობაში გაწეული ის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები მომავალში ანაზღაურდება მიღებული სადაზღვევო პრემიებიდან. ყველა სხვა აკვიზიციური ხარჯები აღიარდება ხარჯებად იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული.

თანამშრომლებისთვის გადახდილი გაყიდვების საკომისიოს, აგენტების და სხვა კონტრაგენტებისთვის სადაზღვევო ხელშეკრულებების გაფორმების და განახლებისთვის გადახდილი ანაზღაურების და საკომისიოს გარდა პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები და ა.შ.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზოგადი დაზღვევისა და ჯანმრთელობისპროდუქტების გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ამორტიზირდება იმ პერიოდის განმავლობაში, რა პერიოდშიც ხდება დაკავშირებული შემოსავლების გამომუშავება.

(v) ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება, გამოუმუშავებელი პრემიების ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად, გადავადებული აკვიზიციური ხარჯისაქტივების გამოკლებით. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირების საპროგნოზო მაჩვენებლები. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი, შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი ჩამოიწერება, და, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება დამატებითი რეზერვი (ამოუწურავი რისკების რეზერვი). ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

(vi) სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო კონტაქტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მოთხოვნები და მათი გაუფასურების განხილვა ხდება მოთხოვნების გაუფასურების ტესტირების მიხედვით.

როგორც წესი, სადაზღვევო მოთხოვნების აღიარება ხდება პოლისის გაცემისას და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურების განხილვა ხდება როგორც ინდივიდუალური ბალანსების დონეზე, ასევე ჯამურად იმ ნაშთებზე, რომლებიც არ მოხვდნენ ინდივიდუალურ განხილვაში. როდესაც მოვლენები ან ვითარებები მიუთითებენ, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა ვერ ანაზღაურდეს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დ. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ბალანსში მოიცავენ ხელზე არსებულ ფულად ნაშთებსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს, შეძენის დღიდან სამი თვით ან ნაკლებ ვადიანობით, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა.

ე. ფინანსური ინსტრუმენტები

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და შეფასება

„კომპანია“ თავდაპირველად აღიარებს სესხებს და ვალდებულებებს, საბანკო დეპოზიტებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს მათი წარმოშობის დღეს.

სესხები და მოთხოვნები რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდები მიეკუთვნება იმ ფინანსურიაქტივების კატეგორიას, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ

ბაზარზე. ასეთი აქტივების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების დამატებით. პირველადი აღიარების შემდეგ სესხები და მოთხოვნები გამოითვლება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხების და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს:

- სადაზღვევო მოთხოვნებს, შენიშვნის 22 შესაბამისად; და
- მოთხოვნები სუბროგაციიდან, შენიშვნის 15 შესაბამისად.

„კომპანია“ ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ამგვარი ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გამოკლებით. პირველადი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები ითვლება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სადაზღვევო და გადაზღვევის გადასახდელებს.

(ii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, მაშინ როდესაც ამოიწურება აღნიშნული აქტივებიდან ფულადი სახსრების შემოდინების მიღების უფლება ან „კომპანია“ გადასცემს ფულადი სახსრების შემოდინების უფლებას სხვა მხარეს ისეთ ტრანზაქციაში, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ფინანსური აქტივის კუთვნილებასთან დაკავშირებული სარგებელი სრულად არის გასხვისებული. გასხვისებულ ფინანსურ აქტივიდან წარმოშობილი ან „კომპანიის“ მიერ დატოვებული ნებისმიერი მონაწილეობა გასხვისებულ ფინანსურ აქტივში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც წყდება, უქმდება ან ვადა გასდის მის სახელმწიფო ვალდებულებებს.

(iii) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიეთითება წმინდა ღირებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის გააჩნია იურიდიული უფლება ურთიერთგაქვითოს აღიარებული თანხები და ასევე გააჩნია განზრახვა ანგარიშსწორება მოახდინოს ნეტო საფუძველზე ან გასცეს აქტივები და ამავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

„კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის გააჩნია იურიდიული უფლება მოახდინოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და ხორციელდება, როგორც საქმიანობის ფუნქციონირების ნორმალურ პროცესში, ასევე „კომპანიის“ და ყველა კონტრაგენტის ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუუნარობის და გაკოტრების შემთხვევაში.

(iv) მოგება და ზარალი აღიარების შემდგომი შეფასებებისას

ამორტიზებული დირებულებითა და რიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, შემოსავალი ან ხარჯი მოგება-ზარალში აღიარდება, როდესაც ადგილი აქვს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ან გაუფასურებას, და ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ვ. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ კვალიფიცირდება საინვესტიციო ქონებად, წარდგენილია თვითღირებულებით, რომელშიც არ არის ჩართული ყოველდღიური შეკეთებისა და მოვლის ხარჯები და რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების თანხებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ აქტივების შეძენისთვის არის განკუთვნილი და აუცილებელია მათი მიზანმიმართულად გამოყენებისათვის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით გამოანგარიშდება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების გათვალისწინებით:

- | | |
|--|------------|
| • შენობები | 25-50 წელი |
| • კომპიუტერები და შესაბამისი აღჭურვილობა | 3-5 წელი |
| • ავტომობილები | 2-7 წელი |
| • საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი | 7-10 წელი |

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის ბალანსიდან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი გათვალისწინებულია იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ყველა გაწეული ხარჯი რომელიც ძირითადი საშუალების რომელიმე კომპონენტის შეცვლას უკავშირდება, აღიარდება საბალანსო ღირებულებით, თუ მოსალოდნელია მისი მეშვეობით კომპანიისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღება და ასევე შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის ჩამოწერა ხდება მისი ნარჩენი ღირებულებით. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები, როგორც არის შეკეთების და შენახვის ხარჯები, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ამგვარი ხარჯის გაღებას ჰქონდა ადგილი.

ზ. საინვესტიციოქონება

საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირდება ის ქონება რომელიც გამოიმუშავებს საიჯარო შემოსავალს ან მომართულია კაპიტალის გაზრდისკენ, ან ორივე ერთად. საინვესტიციო ქონება მოიცავს მოცემული მომენტისთვის განუსაზღვრელი მომავალი გამოყენების მიზნის მქონე ქონებას. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს აქტივის ნაწილის გამოცვლასთან დაკავშირებულ დანახარჯებსაც, თუკი ეს დანახარჯები აქტივად აღიარების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, მაგრამ არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მომსახურების და მიმდინარე შეკეთების დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება მისი თვითღირებულებით რაიმე გაუფასურების ღირებულების გამოკლებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

შენობის სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისვადა მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის შეადგენს 50 წელს.

საინვესტიციო ქონების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი აღარ არის. აქტივის ბალანსიდან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი გათვალისწინებულია იმ წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის ჩამოწერასან გაყიდვას ჰქონდა ადგილი.

აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება საკუთარი მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის აქტივის გამოყენების დასრულებით და მისი იჯარით გადაცემით სხვა მხარისათვის. აქტივების გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვსცვლილებას აქტივის გამოყენებაში, რაც დასტურდება მესაკუთრის საქმიანობის ან აქტივის გაყიდვისათვის მომზადების დაწყებით.

თ. გაუფასურება

(i) ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების გაუფასურებული ღირებულებით ასახვა ძირითადად მოიცავს სესხებს და მოთხოვნებს („სესხები და მოთხოვნები“). „კომპანია“ სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურებას რეგულარულად აფასებს. სესხები და მოთხოვნები გაუფასურდება და გაუფასურების ზარალი დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი აქვს გაუფასურებას ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომლებიც წარმოიშვა სესხების და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომ მოვლენას (ან მოვლენებს) გავლენა აქვთ სესხებისა და მოთხოვნების მომავალ ფულად ნაკადებზე, რომლებიც შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული.

„კომპანია“ სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს აფასებს ინდივიდუალურად და ერთობლივად. თავდაპირველად „კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი აქვს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურებას, ხოლო ისეთი სესხებსა და ვალდებულებების, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, გაუფასურების შეფასება ხდება ინდივიდუალურად ან ერთობლივად.

თუ „კომპანია“ განსაზღვრავს, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისა და ვალდებულებებისთვის, მნიშვნელოვანი თუ სხვა, ის მოიცავს სესხებს და ვალდებულებებს სესხებისა და ვალდებულებების ჯგუფში მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებაზე. სესხები და ვალდებულებები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდებიან გაუფასურებაზე და რომლისთვისაც გაუფასურების ზარალის აღიარება არ არის შესული გაუფასურების ერთიან შეფასებაში.

სესხებისა და ვალდებულებების გაუფასურების წარმოშობის შესახებ ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ზარალის თანხა ფასდება როგორც სხვაობა სესხებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და ნავარაუდები მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფებიდან ამოღებადი თანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირდება სესხების და მოთხოვნების საწყისი ეფექტურისაპროცენტო განაკვეთით. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და ისტორიული დანაკარგების გამოცდილებად აკორექტირებული მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შესაბამისად უზრუნველყოფს საფუძველს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შესაფასებლად.

როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის შემცირებას და შემცირება ობიექტურად შეიძლება დაკავშირებული იყოს მოვლენასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაუფასურების აღიარების შემდეგ, გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ii) არაფინანსური აქტივები

სხვა არაფინანსური აქტივები, რომლებიც განსხვავდებიან გადავადებული გადასახადებისგან, ფასდება თითოეულ საანგარიშგებო დღეს, გაუფასურების შესახებ ნებისმიერი ნიშნების არსებობისთვის. არაფინანსური

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ორი ღირებულებიდან უდიდესით ან ხის საფუძველზე:

აქტივის გამოყენებითი ღირებულება დამისირეალური ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების და აქტივისთვის სპეციფიური რისკის მიმდინარე საბაზრო შეფასებას. იმაქტივების ანაზღაურებადი ღირებულება, რომლებიც არაზღვრულ ფულადი ნაკადების გენერირებას, განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი მერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალი აღიარდება, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება ან მისი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული აღემატება მის აღდგენით ღირებულებას.

არაფინანსური აქტივებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში, ხოლო მისი აღდგენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლებში. გაუფასურების ზარალი აღდგება იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდა საწყის საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალის აღიარებამდე (ცვეთის და ამორტიზაციის გარეშე).

ი. ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს წარსული მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, ამავე დროს სავარაუდოა, რომ „კომპანიას“ მოუწევს ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გაცემა, და ამავდროულად შესაძლებელია გაკეთდეს ვალდებულების თანხის გონივრული შეფასება.

კ. გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა, რომელიც უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(ii) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი წლის დასაბეგრ მოგებაზე, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით. ასევე წინა წლის გადასახადებში ცვლილების შედეგად წარმოშობილი გადასახადი. გადასახადი მოგების გადასახადი ასევე მოიცავს დივიდენდის გადახდასთან დაკავშირებულ შესაძლო საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმასთან დაკავშირებით (რომელიც ასევე ცნობილია კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელის

სახელწოდებით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოიცავს 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ დაწყებულ საგადასახადო პერიოდებს ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგებისგადასახადით დაბეგვრის სახალისის ტერმინი ნიშნავს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას. შეიცვალა მხოლოდ მოგების გადასახადით დაბეგვრის მომენტი, რომელმაც გადაინაცვლა მოგების გამომუშავების მომენტიდან მისი განაწილების მომენტამდე. ეს ნიშნავს, რომ მთავარი დაბეგვრის ობიექტი არის განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, განაწილებული მოგება დამფუძნებლებზე დივიდენდის სახით განაწილებული მოგება. ასევე მოგების განაწილებად ითვლება გარკვეული პერაციები, მაგალითად, დაკავშირებულ მხარეებთან არა გაშლილი ხელის პრინციპით განხორციელებული ტრანზაქციები და გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირებთან განხორციელებული გარიგებები. საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ისეთ ხარჯებს, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, საქონლის უსასყიდლო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს ლიმიტს ზემოთ.

2008-2016

წლების შესაბამის

გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა შესაძლებელია, თუ მათი განაწილება მოხდება 2019 წელს ან მომდევნო წლებში.

დივიდენდის გადახდის

შედეგად წარმოქმნილი გადასახდელი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როცა მოხდა დივიდენდის გაცხადება, მიუხედავად იმისა, რომელ პერიოდს მიეკუთვნება დივიდენდი ან როდის მოხდა მისი ფაქტიური გადახდა.

(iii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული მოგების გადასახადის დასათვლელად გამოიყენება საბალანსო ვალდებულების მეთოდი, რაც გულისხმობს დროებით განსხვავებას საანგარიშგებო პერიოდის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და დასაბეგრ ოდენობას შორის. შემდეგი სახის დროებითი სხვაობები არ წარმოიშვება: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდებიან ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და მეკავშირე კომპანიებში, სადაც მაკონტროლებელ ორგანიზაციას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის ცვლილების განრიგი და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ შეიცვლება. გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების გაყიდვას ან დაფარვას 2019 წლის პირველ იანვრამდე, არსებული საგადასახადო განაკვეთების მიხედვით.

გადავადებული გადასახადი აღიარებულია იმ ზომით, რომ შესაძლო სამომავლო დასაბეგრი მოგება გამოყენებულ იქნას 2019 წლის პირველ იანვრამდე დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი გადასახადების და მოგებების დასაფარად. გადავადებული გადასახადის გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის და ასევე ხდება მისი შემცირება ისეთ დონემდე, როდესაც უკვე აღარ იქნება შესაძლებელი დაკავშირებული გადასახადების რეალიზაცია.

ზემოთაღნიშნულია ხალისაგადასახადოსისტემისამოქმედებიდანგამომდინარე, 2019 წლის 1 იანვრისშემდგომპერიოდშისაქართველოშირეგისტრირებულფინანსურინსტიტუტებსარეკენბათგანსხვავებებ იაქტივებისსაგადასახადოდამიმდინარე ღირებულებებსშორის. შედეგადარწარმოიშობაგადავადებულისაგადასახადოაქტივიდავალდებულია.

ლ. საპროცენტო შემოსავალი, ხარჯები, მოსაკრებლები და საკომისიო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია მოგება ან ზარალში მათი დარიცხვის მიხედვით, აქტივის ან ვალდებულების ეფექტური ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს ნებისმიერი დისკონტის, პრემიის ან საპროცენტო ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებასა და ვადიანობის დადგომისას მის თანხას შორის სხვაობების ამორტიზებას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

სესხის ორგანიზების, მომსახურების, და სხვა ხარჯები, რომლებიც მიიჩნევა სესხის მთლიანი მომგებიანობის შემადგენელ ნაწილად, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, გადავადდება და უფასურდება საპროცენტო შემოსავალზე ფინანსური ინსტრუმენტის ხანგრძლივობის მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სხვა გადასახადი და საკომისიო შემოსავალი აღიარებულია შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

მ. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ არის ძალაში შესული

რამდენიმე ახალი სტანდარტი, ცვლილება და ინტერპრეტაცია შესულია ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან და შესაბამისად, ისინი არ არის გამოყენებული წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. ქვემოთ მოყვანილი გაცხადებული ცვლილებები ან სიახლეები იმოქმედებენ „კომპანიის“ საქმიანობაზე. „კომპანია“ აპირებს მიიღოს აღნიშნული სიახლეები მას შემდეგ რაც ისინი შევა ძალაში.

- ფასს 9 – 2014 წლის ივლისის გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ფასს 9-ის ცვლილების პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს სადაზღვევო კომპანიებს გამოიყენოს ფასს 9 წინამორბედ ფასს 9-სთან ერთად სახელშეკრულებო მიზნებისთვის. ასეთ შემთხვევაში, ფასს 9 იმოქმედებს 2021 წლამდე.

- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები წარმოადგენს ანგარიშგები მოდელს, რომელიც აფასებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფს შესრულებული ფულადი ნაკადების და CSM-ს საფუძველზე. იგი ადარებს და გამჭვირვალეს ხდის ახალ და მოქმედ საქმიანობას და ფინანსური ანგარიშგების მოხმარებლებს აძლევს დამზღვევის ფინანსურ მდგომარეობაში უფრო ღრმად ჩაწვდომის საშუალებას. ანდერრაიტინგის და ფინანსური შედეგების ცალკეული პრეზენტაცია მეტ ინფორმაციას გვაძლევს შემოსავლის წყაროსა და გამომუშავების ხარისხის შესახებ. ფასს 17 ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული ან შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია მისი ვადამდე გამოყენება იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 9-ს და ფასს 15 ფასს 17-ის გამოყენების თარიღისთვის ან მის შემდგომ.

შენიშვნა 26. ანგარიშგების შედგენის შემდგომი მოვლენები

საგადასახადო კანონმდებლობაში იურიდიულ პირთა დაბეგვრის რეფორმასთან დაკავშირებით (იხ. 22.02.2018წ. შენიშვნა 25 (I) (ii)) ცვლილებების პროექტის შესაბამისად, ფინანსური დაწესებულებებისთვის (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები) კანონი ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან. ესტონური საგადასახადო მოდელის მიღების გადავადებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალში საგადასახადო და გადავადებულ საგადასახადო ნაშთებზე.

სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი

2017 წლის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფაქსი 100

შინაარსი

now myself

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც წარმოდგენილია 9-დან 48-ე გვერდის ჩათვლით, პასუხისმგებელია სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ (შემდგომში „კომპანია“) მენეჯმენტი.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ დამტკიცებული და ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს ფინანსური აღრიცხვისა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემები;
- აწარმოოს სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, კომპანიის აქტივების დასაცავად;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობადა სხვა შეუსაბამობები.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის მენეჯმენტის მიერ:

ხელმოწერილია

პაატა ლომაძე

გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“

ხელმოწერილია

ლევან ზუროშვილი

ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“

თარიღი: 7 მარტი, 2018 წ.

Handwritten signature



შპს "KPMG Georgia"

4, ბესიკის ქ.

თბილისი, 0108,

საქართველო

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"-ს
სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის" (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება, რაც მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვასრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, და ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ არაკონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი არაკონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და არაკონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ევროკავშირის მიერ მიღებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის ანგარიშზე. ხელმძღვანელობის ანგარიში, სავარაუდოდ, ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდგომ.

ჩვენი დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არ ვიძლევიტ მასზე რაიმე ფორმით გარანტიას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მდგომარეობს ხელმძღვანელობის ანგარიშთან გაცნობაში, როცა ის ხელმისაწვდომია და გაცნობის პროცესში იმის განსაზღვრა ხომ არ არის ხელმძღვანელობის ანგარიშის არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ აუდიტის ატარების პროცესში მოვებულ ცოდნასთან ან სხვაგვარად არსებითად შეუსაბამო.

ჩვენს მიერ ხელმძღვანელობის ანგარიშთან გაცნობისას, ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, სხვა ინფორმაცია:

- შეესაბამება თუ არა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და ხომ არ მოიცავს არსებით დარღვევებს;
- მოიცავს თუ არა ყველა იმ დეტალს, რომელიც გათვალისწინებულია და შეესაბამება საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ევროკავშირის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კ“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და ასევე აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

Handwritten signature

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

ვახდენთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებულია აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არა ადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გაეუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

ენდრიუ კოქსშელი

შპს „KPMG Georgia“

7 მარტი 2018წ.

Handwritten signature

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N180338803



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.03.2018 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ქ. შარტავას 42

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2238372

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

29234017298518



-მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე ვამოწმებ თარჯიმნის ნათია გვირაძის (დაბ. 05.01.1978წ, პირადი
#11001000406, მცხ: ქ. თბილისში, III მასივი. VIII კვ. კორპ.5. ბ. 25)
(დიპლომი სუ # 000394. რეგისტრაციის #508 გაც. 2001 წელს.
თბილისის სახ. უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მიერ)
ხელმოწერის ნამდვილობას.

მე, გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე.
მან დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.
ვამოწმებ ხელმოწერას წარმოდგენილი დოკუმენტის ყველა გვერდზე. თარგმანი შესრულებულია
ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.

სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის 29ა-ში.

გადახდილია საზღაური; (1 ეგზემპლარზე შესრულებული 61 ხელმოწერის დამოწმებისთვის) 122,00 ლარი,
სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 20,00 ლარი, დღგ 25.56 ლარი და
რეგისტრაციისთვის 2 ლარი

ნოტარიუსი _____



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე:
www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარგვით ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

29.03.2018, 19:4



19.03.2018

განკვეთილი დოკუმენტი

დოკუმენტის დაცვა

ნაწილი

დოკუმენტი № 1

11.03.2018

11.03.2018



განკვეთილი დოკუმენტი

დოკუმენტის დაცვა

ნაწილი

დოკუმენტი № 1

11.03.2018

განკვეთილი დოკუმენტი

დოკუმენტის დაცვა

ნაწილი

დოკუმენტი № 1

11.03.2018

განკვეთილი დოკუმენტი



განკვეთილი დოკუმენტი

დოკუმენტის დაცვა

ნაწილი